გლობალიზაციის გამოწვევები და საქართველოს სავაჭრო ურთიერთობები

თამარ დევიძე
სტუ-ს ასოცირებული პროფესორი
E-mail: tamari.devidze@mail.ru
დავით შოშიტაშვილი
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

ნაშრომი ეძღვნება საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ეტაპს, კონკრეტულად ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებას (Deep and Comprehensive Free Trade Area - DCFTA) და საქართველოს მიმართ ევროკავშირის სავაჭრო პოლიტიკის განვითარებას.

საკვანძო სიტყვები: გლობალიზაცია, ევროკავშირი, თავისუფალი სავაჭრო სივრცე.

ძირითადი ტექსტი

საქართველომ, როგორც ევროპული სამეზობლო პოლიტიკის წევრმა ქვეყანამ, განიცადა წინსვლა ევროკავშირთან ეკონომიკური კავშირების გაღრმავების კუთხით 2000-იანი წლების დასაწყისში, მას შემდეგ, რაც ქვეყანაში დემოკრატიზაციის პროცესების განმტკიცება დაიწყო. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება მიიჩნევა, როგორც ხელშემწყობი ძალა ევროკავშირის ნორმებთან საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ზრდის, ასევე, რეგულაციებთან დაახლოების გზის და ქართველი მეწარმეებისთვის ევროკავშირის ბაზრის გახსნით. ამასთანავე, ექსპერტების ნაწილს მიაჩნია, რომ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება უფრო მეტად მიმართულია ევროკავშირის პოლიტიკურ ინტერესებსა და მისწრაფებებზე რეგიონში და შეთანმხებას ნაკლები გავლენა ექნება საქართველოს ეკონომიკაზე.

საქართველოსთვის აღნიშნული თანამშრომლობის პერსპექტივა ითვალისწინებდა შემდეგი სახის ღონისძიებებს:

- უფრო მჭიდრო თანამშრომლობას და ინტეგრაციას ვაჭრობის და ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავების კუთხით;
- საქართველოს კანონმდებლობის ევროპულ კანონმდებლობასთან მაქსიმალურად დაახლოებას;
- არასატარიფო ბარიერების შემცირების პროცესის გაგრძელებას ვაჭრობის, ინვესტიციების მოზიდვის, და, შედეგად ეკონომიკური ზრდის სტიმულირებისათვის.[1]

ევროკავშირთან პარტნიორობის ახალი ფორმატის ფარგლებში შემუშავებული ეკონომიკური პირობები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო საქართველოსთვის და ქვეყნის განვითარებადი ბაზრისთვის.

საინტერესოა საქართველოს მიერ ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული დებულებების განხორციელების პროცესის შესწავლა. მცირე ზომის, საშუალო და მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყანამ 3.74 მილიონი მოსახლეობით, გასული 10 წლის განმავლობაში მრავალი პოლიტიკური და ეკონომიკური გამოწვევები განიცადა. მიუხედავად ამისა, საქართველო არის ერთადერთი ქვეყანა რეგიონში, რომელმაც ამავე პერიოდში შეძლო განეხორციელებინა მნიშვნელოვანი დემოკრატიული რეფორმები. სწორად დასახული გეგმებით და ევროკავშირის მხრიდან მხარდაჭერით საქართველო შეიძლება იყოს ევროკავშირის ძალისა და შესაძლებლობების გაძლიერების საუკეთესო მაგალითი მთელ რეგიონში.

2014 წლის ივნისში ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერით საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაღრმავდა თანამშრომლობა, ხოლო ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების ნაწილი მიზნად ისახავს საქართველოს ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობას და ევროკავშირის ბაზარზე ეტაპობრივ დაშვებას. საქართველოსთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი არის ევროკავშირის კანდიდატი წევრობის ქვეყნის სტატუსის მოპოვებადა, რა თქმა უნდა, პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობა. ეკონომიკური პერსპექტივიდან მიიჩნევა, რომ

[1]AGENDA, "Historic Decision: European Parliament approves visa-free travel for Georgian citizens".http://agenda.ge/news/74012/eng

საქართველო თავისი შედარებით მცირე ეკონომიკით, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების საშუალებით დიდი სარგებლისა და კეთილდღეობის მიღწევას შეძლებს.

გლობალური გამოწვევების ფონზე, ნათელი გახდა, რომ ასოცირების შეთანხმების პოლიტიკური მხარე უფრო მეტ ინტერესს წარმოადგენს ევროკავშირისთვის ვიდრე ეკონომიკური. მართლაც, ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება ბოლო პერიოდში ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის განუყოფელ ნაწილად იქცა. ევროკავშირი აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე და რუსეთთან ბოლო პერიოდში გამწვავებული ურთიერთობების გათვალისწინებით ქვეყანამ პოლიტიკური და ეკონომიკური მოკავშირეების ძიება დასავლეთში დაიწყო.

ევროკავშირის ტრანსფორმაციული ძალის თეორიული ჩარჩო გამოყენებული იქნება იმისათვის, რომ ავხსნათ შემდეგი: DCFT (ასოცირების შეთანხმება) სინამდვილეში მიზნად ისახავს საქართველოს კანონმდებლობის, პოლიტიკის და ეკონომიკის ევროკავშირთან შესაბამისობაში მოყვანას, თუ ევროკავშირის მთავარ მიზანს წარმოადგენს მისი ყოფნა და გავლენის მოპოვება/გავრცელება რეგიონში?!

რამდენადაც არ უნდა იყოს ევროკავშირი დაინტერესებული ტრანსფორმაციული ძალა მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქვეყნები ნებაყოფლობით გამოთქვამენ თავიანთ სურვილს ევროკავშირთან ურთიერთობის გაძლიერების და გაწევრიანების პროცესისადმი, თუმცა საინტერესოა ევროკავშირის მოწოდება და მეზობელი ქვეყნების მოზიდვა ან „რატომ ევროპა?" პასუხი ეფუძნება ევროკავშირის ფასეულობების და ეთიკის პრინციპებს. ევროსაბჭოს ყოფილმა პრეზიდენტმა ჟანკლოდ იუნკერმა, სტრასბურგში, 14 სექტემბერს, გაკეთებულ წლიურ მოხსენებაში, ხაზი გაუსვა ევროპის ერთიანობას. მან განაცხადა, რომ "ევროპა ნიშნავს მშვიდობას, დასაქმებულთა თავისუფალ გადაადგილებას. ევროპა ნიშნავს, რომ ჩვენ სიკვდილით დასჯის წინააღმდეგი ვართ. იყო ევროპელი აგრეთვე გულისხმობს იყო ღია და აწარმოო ვაჭრობა ჩვენს მეზობლებთან, მათთან ომის დაწყების ნაცვლად. ეს ასევე გულისხმობს მონაცემთა დაცვას — ევროპაში კონფიდენციალურობის საკითხი მნიშვნელოვანია. იყო ევროპელი ნიშნავს ითამაშო სამართლიანად — დასაქმებულებმა უნდა მიიღონ თანაბარი ანაზღაურება თანაბარი სამუშაოს შესრულებისთვის იმავე ადგილას, ეს არის სოციალური სამართლიანობის საკითხი. ეს ასევე გულისხმობს კონკურენციას. ევროპაში მომხმარებლები დაცულნი არიან კარტელების და ბოროტად გამოყენებისგან ძლიერი კომპანიების მხრიდან. უფრო მეტიც, ევროპა არის სოფლის მეურნეობა. კომისია მუდმივად იდგება მისი ფერმერების მხარეს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისინი სირთულეებს განიცდიან.[2] იუნკერმა ძალიან სწორად გააჟღერა ყველა ის მიზეზი, თუ რატომ გახდა ევროპა ასეთი მიმზიდველი ახლო საზღვარგარეთისათვის.

მარკ ლეონარდმა ხაზი გაუსვა ზემოხსენებულ მოსაზრებას. კერძოდ, მან თქვა: "ევროპა არ ცვლის ქვეყნებს, იმით რომ დაემუქროს თავდასხმით: მისი მუქარაა ამ ქვეყნებთან კონტაქტის შეწყვეტა. ევროკავშირის წევრობით ტრანსფორმცია განიცადეს ისეთმა ქვეყნებმა, როგორიცაა ესპანეთი, საბერძნეთი, პოლონეთი და ჩეხეთის რესპუბლიკა და ცდილობენ იგივე ეფექტი მოახდინონ იმ ქვეყნებზეც, რომლებსაც სურთ ევროკავშირთან დაახლოება და ევროპული ოჯახის წევრობა. გარდა 500 მილიონი მოქალაქისა, რომელიც ევროკავშირშია, დაახლოებით 1.3 მილიარდი ადამიანი 80 ქვეყნიდან დაკავშირებულია ევროკავშირთან, რომელიც არის მათი უდიდესი სავაჭრო პარტნიორი და საკრედიტო რესურსის, ინვესტიციების და დახმარების უმსხვილესი წყარო. ამგვარად, მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით ერთი მესამედი ცხოვრობს „ევროსფეროში", ევროპის ზეგავლენის ზონაში, რომელიც ეტაპობრივად ტრანსფორმირდება ევროპული პროექტით".[3] გარდა ამისა, იგი აღწერს, როგორ არის ევროკავშირის ტრანსფორმაციული ძალა დაკავშირებული მის შიდა ბაზართან, რომელიც მსოფლიოში ყველაზე დიდი ეკონომიკის მქონედ არის დასახელებული. იგი ხაზს უსვამს, რომ ევროპის ეკონომიკის ხარისხი არის ის, რაც ქმნის მას მოდელად.

უდავოა, რომ ევროკავშირის ტრანსფორმაციული ძალა უზარმაზარ გავლენას ახდენს როგორც ადგილობრივ დონეზე, ისე გლობალურად.

აღმოსავლეთ პარტნიორ ქვეყნებს შორის პირველი ქვეყანა, ვისთანაც ევროკავშირმა დაი-

[2]GRABBE Heather, "The EU's Transformative Power: Europeanization throughConditionality in Central and Eastern Europe", 2006, PALGRAVE MACMILLAN.

[3]Koeth Wolfgang, The Deep and Comprehensive Free Trade Agreements: anAppropriate Response by the EU to the Challenges in its Neighborhood.

წყო მოლაპარაკება ასოცირების შეთანხმებაზე და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებაზე, იყო უკრაინა — ყველაზე დიდი ეკონომიკის მქონე ქვეყანა აღმოსავლეთ პარტნიორ ქვეყნებს შორის. ევროკავშირსა და უკრაინას შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმება/ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება გამოყენებული იქნა, როგორც ნიმუში სხვა აღმოსავლეთ პარტნიორ ქვეყნებთან ურთიერთობაში.[4] უკრაინის შემდეგ ევროკავშირმა დაიწყო მოლაპარკება მოლდოვასთან და საქართველოსთან.

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება ასოცირების შეთანხმების განუყოფელი ნაწილია (ჩაანაცვლა 1996 წლის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება[5]), რომელიც გაფორმდა 2014 წლის 27 ივნისს საქართველოსა და ევროკავშირს შორის და ძალაში სრულად შევიდა 2016 წლის პირველ ივლისს[6].

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების გასაფორმებლად პარტნიორი ქვეყნისთვის ერთადერთი წინაპირობაა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრობა.

ევროკავშირის კომისიის კომუნიკეში აღმოსავლეთ პარტნიორობასთან დაკავშირებით წერია: „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება ფარავს არსებითად ვაჭრობას, მათ შორის ენერგეტიკას და მიზნად ისახავს ლიბერალიზაციის ყველაზე მაღალ ხარისხს. ისინი მეტწილად განსაზღვრავენ ვალდებულებებს ვაჭრობასთან დაკავშირებული რეგულაციების დაახლოვებასთან დაკავშირებით და ამგვარად, ხელს შეუწყობენ პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკის მოდერნიზებას და წაახალისებენ ეკონომიკური რეფორმების განხორციელებას. ისინი შექმნიან საქონლის გადაადგილების რეალურ პერსპექტივას, კაპიტალის და მომსახურების მიწოდებას, რის მისაღწევადაც ხანგრძლივი პერიოდია საჭირო."[7]

საქართველოს შემთხვევაში ასოცირების შეთანხმებას/ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებას ორი ძირითადი ეფექტი აქვს:

1. ცალსახად არის დაფიქსირებული საქართველოს პოლიტიკური „ევროპული არჩევანი"[8]

2. ევროკავშირის მხრიდან თითქმის ყველა ტარიფი საქართველოდან იმპორტირებულ პროდუქციაზე გაუქმებულია.[9]

თუმცა, გასათვალისწინებელია ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების პოტენციალის შეზღუდვა საქართველოს მხრიდან განხორციელების მისწრაფებაზე. ევროკავშირს ხშირად ადანაშაულებენ სასოფლო-სამეურნეო სექტორთან მიმართებაში პროტექციონისტური სავაჭრო პოლიტიკის გამო. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც განვითარებულ ქვეყნებს შეუძლიათ ჰქონდეთ შედარებითი უპირატესობა.[10]

რაც შეეხება საქართველოს, იგი მიიღებს შეზღუდულ ხელმისაწვდომობას ევროკავშირის აგრარულ ბაზრებზე, თუმცა მის სასოფლო-სამეურნეო სექტორს ეს მაინც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს. იმის გათვალისწინებით, რომ ევროკავშირის აგრარული ბაზრის ხელმისაწვდომობა ბიუროკრატიულად არის დაცული პროტექციონისტური პოლიტიკის გამო, საქართველოსთვის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებას მოკლევადიანი ეკონომიკური სარგებელი შეიძლება უფრო ნაკლები იყოს, ვიდრე გრძელვადიან პერსპექტივაში.

უკანასკნელ წლებში მხარეებს შორის ურთიერთობამ ბევრი კარგი შედეგი მოუტანა საქართველოს, რაზეც ხაზი გაესვა 2018 წლის 5 თებერვალს გამართულ საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს სხდომაზე.

საქართველო მნიშვნელოვან ტრანსპორმაციას განიცდის გრძელვადიან პერსპექტივაში, რაც განპირობებული იქნება ეკონომიკური გარდაქმნებით და სტანდარტების და რეგულაციების მოდერნიზაციით. მიუხედავად ამისა, ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება ვერ შეძლებს საქართველოს მცირე ზომის ეკონომიკის გამო დააკმაყოფილოს მისი ეკონომიკურად გაძლიერების ყველა მოლოდინი. საქართველოს ჯერ კიდევ არ აქვს დიდი ზეგავლენა რეგიონულ გაფართოება-

[4]http://eeas.europa.eu/enp/which-are-the-benefits/index_en.htm

[5]http://eeas.europa.eu/enp/pdf/pdf/action_plans/georgia_enp_ap_final_en.pdf

[6]http://eeas.europa.eu/georgia/pdf/quick_guide_eu_ge_aa_en.pdf

[7]http://onlinelibrary.wiley.com/doi/10.1111/jcms.12174/full

[8]http://userpage.fu-berlin.de/kfgeu/maxcap/news/heather-grabbe-eus-transformative-power-retrospect-and-prospect.html

[9]http://www.rferl.org/a/moldova-dodon-strategic-partnership-russia-/28251575.html

[10]https://www.opensocietyfoundations.org/voices/testing-transformative-power-european-union

ზე ეკონომიკური ინტეგრაციის კუთხით. ეს აიხსნება მცირე მოსახლეობით და მცირე მოხმარების ბაზრით. მნიშვნელოვანია, რომ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება, არა მხოლოდ საქართველოში, არამედ სამივე ქვეყანაში (საქართველო, მოლდოვა და უკრაინა) წარმატებით განხორციელდეს. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბოლო პერიოდში მოლდოვას გადახრა „ევროპული გზიდან" არის ნათელი მაგალითი რუსეთის ზეგავლენის, რათა არ მისცეს საშუალება ევროკავშირს გააძლიეროს გავლენა აღმოსავლეთ პარტნიორებთან.

რაც შეეხება ევროკავშირის სარგებელს, DCFTA იქნება უფრო პოლიტიკური,ვიდრე ეკონომიკური დოკუმენტი საქართველოს ეკონომიკის ზომიდან გამომდინარე. საქართველოსთვის, მოკლევადიანი და საშუალოვადიანი ეკონომიკური სარგებელი უმნიშვნელო იქნება შეთანმხების განხორციელების დანახარჯების გამო, თუმცა გრძელვადიანი მიღწევები იქნება ყველაზე ღირებული. მიზანშეწონილია, რომ საქართველომ განაგრძოს ევროკავშირთან არსებული დაახლოების გზა, და დასახული რეფორმების განხორციელება.

გლობალიზაცია დღესაც და მომავალშიც განმსაზღვრელ როლს შეასრულებს. ამიტომ, ასეთ პირობებში სახელმწიფოებმა მისი გავლენა მიზანმიმართულად შერბილებული პროცესით უნდა განავითარონ. მათ უნდა შეძლონ გლობალიზაციის, სახელმწიფოსა და ეროვნული ეკონომიკის ინტერესების დაახლოება და შეთანაწყობა.

ლიტერატურა:

1. აბრალავა ა. ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალურ-ინოვაციური პრობლემები. თბ., 2014.
2. აბრალავა ა. ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია. თბ., 2005.
3. დევიძე თ., შოშიტაშვილი გიორგი. ეკონომიკა — სახელმწიფო — გლობალიზაცია. უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯიასა და ბალტიის საერთაშორისო აკადემიის პარტნიორობით გამართული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაცია და ბიზნესი — გამოწვევები, პრობლემები, პერსპექტივები. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული. ივერონი. თბ., 2017.
4. AGENDA, "Historic Decision: European Parliament approves visa-free travel for Georgian citizens".http://agenda.ge/news/74012/eng
5. GRABBE Heather, "The EU's Transformative Power: Europeanization throughConditionality in Central and Eastern Europe", 2006, PALGRAVE MACMILLAN.
6. Koeth Wolfgang, The Deep and Comprehensive Free Trade Agreements: anAppropriate Response by the EU to the Challenges in its Neighborhood.
7.http://eeas.europa.eu/enp/which-are-the-benefits/index_en.htm
8. http://eeas.europa.eu/enp/pdf/pdf/action_plans/georgia_enp_ap_final_en.pdf
9. http://eeas.europa.eu/georgia/pdf/quick_guide_eu_ge_aa_en.pdf
10. http://onlinelibrary.wiley.com/doi/10.1111/jcms.12174/full
11. http://userpage.fu-berlin.de/kfgeu/maxcap/news/heather-grabbe-eus-transformative-power-retrospect-and-prospect.html
12. http://www.rferl.org/a/moldova-dodon-strategic-partnership-russia-/28251575.html
13. https://www.opensocietyfoundations.org/voices/testing-transformative-power-european-union

GLOBALIZATION CHALLENGES AND GEORGIAN TRADE RELATIONS

TAMAR DEVIDZE
Associate Professor of GTU
E-mail: tamari.devidze@mail.ru
DAVID SHOSHITASHVILI
PhD student of GTU

Summary

The paper reviews the one of the most important stages in the relationship between the EU and Georgia, in particular the Deep and Comprehensive Free Trade Area Agreement (DCFTA) and the development of the EU trade policy towards Georgia.